

33 წლის მამაკაცმა საკუთარი მეუღლე და 5 წლის ქალიშვილი ლოგინში დახოცა, შემდეგ კი თვითმკვლელობა სცადა და ყელი გამოიჭრა.

გოჩა ფ. - ს სახლთან სამართალდამცავები და სასწრაფო სამედიცინო მანქანა ერთდროულად მივიდა. დაჭრილი ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. ადგილზე სამართალდამცველები იმყოფებიან. მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

ფიფიას წინააღმდეგ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ოჯახის წევრებს მომხდარზე საუბარი არ სურთ, ამბობენ, რომ ჯერ კიდევ შოკში არიან და წარმოდგენაც არ აქვთ რა მოხდა.